პუბლიცისტი სამსონ ფირცხალავა პოლიტიკური რეალობის პირისპირ

(1918-1919 წლები)

მაია ბრეგაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

Maia Bregadze

Student of Mass Communication PHD Program

Caucasus International University

DOI: https://doi.org/10.52340/gbsab.2023.01.03.08

საკვანძო სიტყვები: პუბლიცისტიკა, დამოუკიდებელი საქართველო, სამსონ ფირცხალავა, დემოკრატიული რესპუბლიკა, მედიაპლატფორმა, პრესა, 1918-19 წლები

აბსტრაქტი

1918-21 წლების დამოუკიდებელ საქართველოს ბევრი საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკოსი და პუბლიცისტი წარმოაჩენს, რომელთა საქმეები და სახელებიც კი მრავალი წლის მანძილზე ქართულ საზოგადოებას არც კი გაეგო.

ერთ-ერთ ასეთ ფიგურას წარმოადგენს სოციალ-ფედერალისტური პარტიის ლიდერი, ამავე პარტიის ბეჭდური ორგანოს ,,სახალხო საქმის" რედაქტორი და მთავარი პუბლიცისტი, პარლამენტის წევრი და ღვაწლმოსილი პედაგოგი, მრავალი შრომის ავტორი - სამსონ ფირცხალავა, რომელიც საინტერესო და მრავალმხრივ შესასწავლი პიროვნებაა როგორც პოლიტიკოსი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, მაგრამ ჩვენი ხედვა ამ შემთხვევაში მის ჟურნალისტურ საქმიანობაზე ფოკუსირდება.

წინამდებარე სტატია ემსახურება სამსონ ფირცხალავას პიროვნების პოლიტიკური რეალიზმის ობიექტურ ასახვას, მისი ღვაწლისა და როლის გამოკვეთას, თავისუფალი სიტყვის, ჟურნალისტური ეთიკის, დახვეწილი ოპონირებისა და დემოკრატიული პრინციპების წარმოჩენას ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში.

კვლევის ფარგლებში ვეცდებით იმ ფასეულობებისა და ორიენტირების გამოვლენას, რომლებმაც განაპირობა სამსონ ფირცხალავას პუბლიცისტური დისკურსი.

კვლევის თეორიული საფუძველი ეყრდნობა როგორც ისტორიული, ასევე ლოგიკური რეალური ერთიანობის ზოგადმეთოდოლოგიურ პრინციპებს - შედარებით და სისტემურ ანალიზს. ჩვენი კვლევის ძირითადი ნაწილი თვისებრივია თავისი ბუნებით, რადგანაც საკვლევი მასალა ისტორიული წარსულიდან მომდინარეობს. კონტენტანალიზის მეშვეობით გამოვყავით ერთეული დოკუმენტები, მეორადი მონაცემები და ვცადეთ მათი შეგროვება, კლასიფიცირება, სინთეზირება, შეფასება და ინტერპრეტირება.

კონკრეტულ შემთხვევაში, რელევანტური ლიტერატურის მიმოხილვა განვამტკიცეთ გაზეთ ,,სახალხო საქმის“ ფურცლებზე დაბეჭდილი პირველადი ოფიციალური წყაროებით. ვგულისხმობთ, სამსონ ფირცხალავას ავტორობით გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს.

Abstract

It is worth noting that in the not-so-distant past, it was not only prohibited to scrutinize and document the activities of many leaders but even to mention their names. One such luminary is Samson Firtskhalava, the leader of the Social-Federalist Party, the editor, and chief publicist of the party's official publication, "People's Affairs." He was also a parliament member and an esteemed educator, renowned for his prolific body of work.

Samson Firtskhalava's multifaceted person holds intrigue from various angles. He is a captivating figure as a politician, educator, and public personality. However, our focus in this exploration centers on his role as a journalist.

This article aims to provide an objective analysis of the political realism embodied by Samson Firtskhalava. It sheds light on his accomplishments and contributions, emphasizing the principles of free speech, journalistic ethics, astute opposition, and democratic ideals within the context of Georgian journalism history.

სოციალ-ფედერალისტების პოლიტიკური სპექტრი და კვლევის პროტოგამოცდილება

გაზეთი ,,სახალხო საქმე“ საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ყოველდღიური ორგანოა, ამიტომ თავად ამ პარტიაზე ვიტყვით, რომ იგი პირველი ეროვნული მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაციაა საქართველოში და ეს ცოტას არ ნიშნავს. მისი წარმოშობა უკავშირდება ,,ახალგაზრდა ევრიელთა“

დაჯგუფებას და თარიღდება 1895 წლით. სწორედ აქედან შეიქმნა პარტიის საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც 1903 წელს პარიზში გამოსცა გაზეთი ,,საქართველო“. 1904 წელს ჟენევის კონფერენციაზე საბოლოოდ გაფორმდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია, რომელმაც პირველმა წამოაყენა საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის მოთხოვნა.

რას წარმოადგენდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის იდეოლოგია? მათი უმაღლესი იდეალი საქართველოში სოციალიზმის დამკვიდრება გახლდათ, რითაც სურდათ ადამიანები გაეთავისუფლებინათ ყოველგვარი ჩაგვრის, დისკრიმინაციისა და ეკონომიკური ექსპლუატაციისაგან. ამასვე ადასტურებს მკვლევარი ი. ირემაძე საკუთარ ნაშრომში, რომელიც მან დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიებს მიუძღვნა.

ისტორიკოსი მალხაზ მაცაბერიძე, საქართველოს პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი სერიოზული მკვლევარი განავრცობს, რომ ფედერალისტების მსოფლმხედველობა გულისხმობდა აბსოლუტურად თანასწორუფლებიან საზოგადოებას, რომელშიც ადამიანები ვალდებულნი იქნებოდნენ, სხვებთან ერთად თანაბრად მიეღოთ მონაწილეობა საზოგადოებრივი კეთილდღეობის მშენებლობაში.

პარტიის ძირითადი პრინციპის თანახმად, როგორც ოფიციალურ წყაროში ვეცნობით, უნდა გაუქმებულიყო კერძო საკუთრება, ყოველგვარი ინდივიდუალური სიმდიდრე, რითაც მოისპობოდა ორგანიზაციების კლასობრივი ხასიათი. ეს საკითხი სიღრმისეულად შეისწავლა დემოკრატიული რესპუბლიკის მკვლევარმა, ისტორიკოსმა ოთარ ჯანელიძემ.

დიდი დახმარება გაგვიწია დიმიტრი შველიძის ისტორიულმა მონოგრაფიამ, რომელიც მან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური პარტიების, უშუალოდ კი ფედერალისტების კვლევას მიუძღვნა.

ასეთი გახლდათ სოციალისტ-ფედერალისტების კონცეფცია და მსოფლმხედველობა, რომელსაც ისინი მიზანმიმართულად ავითარებდნენ და აწვდიდნენ საზოგადოებას საკუთარი პარტიული პერიოდული ორგანოს ,,სახალხო საქმის“ მეშვეობით.

სტატია ფედერალისტთა ლიდერის სამსონ ფირცხალავას პუბლიცისტური დისკურსის ჩვენების მცდელობას წარმოადგენს. რაკი აღნიშნული პიროვნების ჟურნალისტური მოღვაწეობა ფაქტობრივად შეუსწავლელია, მწირია რელევანტური ლიტერატურაც. კვლევისას დავეყრდენით გურამ შარაძის წიგნს ,,უცხოეთის ცის ქვეშ“

და თანამედროვე მკვლევრის მარი წერეთლის მონოგრაფიულ კრებულში ,,დროის პარალელები“ წარმოდგენილ მოკლე პორტრეტულ ანალიზებს.

სამსონ ფირცხალავა - სოციალ-ფედერალისტთა სახე

ისტორიკოსი ოთარ ჯანელიძე თავის ერთ-ერთ ნაშრომში შემდეგი სიტყვებით იწყებს სამსონ ფირცხალავაზე საუბარს: ,,საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ლიდერთა შორის სამსონ ფირცხალავა ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. მისი როლი და ავტორიტეტი პარტიასა და სრულიად საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში 1910 წლიდან განსაკუთრებით გამოიკვეთა.“ (ჯანელიძე. სამსონ ფირცხალავა)

სამსონ ფირცხალავას, როგორც შემდგარი ჟურნალისტისა და გამოჩენილი პუბლიცისტის პორტრეტი მეტად საინტერესოა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი ცნობილია არამარტო მწერალი. მან ადგილი დაიმკვიდრა პერიოდულ გამოცემათა დაარსებითა და რედაქტორობითაც. პარტიული ორგანოს - ,,სახალხო საქმის“ გამოცემამდე აქტიურად თანამშრომლობდა და რედაქტორობდა შემდეგ სერიოზულ გაზეთებს: ,,ცნობის ფურცელი“, ,,გლეხი“, ,,მიწა“, ,,მზე“, ,,ფასკუნჯი“. ასევე, იგი ბევრი სამეცნიერო და პოლიტიკური ხასიათის წიგნის ავტორია.

როგორც ,,სახალხო საქმის“ რედაქტორი, სამსონ ფირცხალავა ინტენსიურად აქვეყნებდა საავტორო სტატიებს. სწორედ აღნიშნული საპროგრამო ხასიათის პუბლიკაციები მოექცა ჩვენი თვალთახედვის არეში და გახდა ჩვენი კვლევის მთავარი წყარო.

სამსონ ფირცხალავას ყველა სტატიას საინტერესო და ინფორმაციული სათაური აქვს. მაგალითად მოვიყვანთ რამდენიმეს, ხოლო წინამდებარე ნაშრომში ჩავუღრმავდებით თითოეულ მათგანს: ,,ეროვნება და ეროვნული თავისუფლება“(№249) ,,საკუთარი ძალა“(№311) ,,მთავრობა და თვითმმართველობა“,(№323) ,,ნახული და გაგონილი“ (№365) ,,იარაღი“(№420) ,,ბრძოლა სახელმწიფოსთვის“(№414) ,,მოძმეთა სისხლი“(№411) ,,რევოლუცია თუ რეაქცია“ (№395) და ბევრი ასეთი.

გვინდა გაგაცნოთ, თუ რა საკითხებზე წერდა აღნიშნული პიროვნება და როგორ შეიძლება დავალაგოთ მისი ტექსტები შინაარსის თვალსაზრისით: რაკი ჩვენი კვლევის პერიოდი 1918-19 წლების მედიატექსტებს მოიცავს, ამიტომ ჩვენც სამსონ

ფირცხალავას სტატიების თავმოყრა და მათი ანალიზი 1918 წლის 26 მაისიდან დავიწყეთ.

სახალხო საქმის რედაქტორი ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე ყველა პრობლემურ და აქტუალურ საკითხზე წერს. მისი სტატიები არაა ძალიან ვრცელი. ხშირ შემთხვევაში ორ ან სამ საგაზეთო სვეტს მოიცავს. ამას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ მოცულობის მიუხედავად, პუბლიკაციები შინაარსობრივად ღრმა და მრავლისმთქმელია. წერილები, უმეტეს შემთხვევაში, ანალიტიკურია და არა მხოლოდ ინფორმაციული. ავტორს აღებული აქვს რომელიმე მნიშვნელოვანი მოვლენა ან ფაქტი და მის გარშემო ავითარებს კრიტიკულ მსჯელობას. გამოკვეთს მიზანს, სვამს კითხვებს და ეძებს პრობლემის გადაჭრის საშუალებებს.

როდესაც თემატიკა ზოგადსაკაცობრიოა, აქაც რედაქტორის მსჯელობა ვარირებს პიროვნულ სუბიექტივიზმსა და ანალიტიკურ რაკურსს შორის.

ჩვენ მიერ შესწავლილი პუბლიკაციებიდან სამსონ ფირცხალავა წერს სამხედრო საკითხზე, ერის თვითმყოფადობასა და თავისუფლების ფენომენზე, გერმანიასა და საქართველოს ურთიერთდამოკიდებულებაზე, ეთნიკურ და რელიგიურ ტოლერანტობაზე.

სამსონ ფირცხალავას ნააზრევი სახელმწიფოს თავისუფლების შემეცნების კუთხით პროგრესულია და ინდივიდუალურ კონცეფციას ქმნის. იგი ქართველი ერის თავისუფლებას ქართული დემოკრატიის მონაპოვრად მიიჩნევს.

ჩვენ გავეცანით სამსონ ფირცხალავას სიტყვას, რომელიც მან ეროვნული საბჭოს კრებაზე 1918 წლის 17 ივნისს წარმოთქვა და მომდევნო დღეს გამოცემულ №259-ში დაიბეჭდა. სოციალ-ფედერალისტური პარტიის ლიდერი სრულ მხარდაჭერას უცხადებს ხელისუფლებაში მოსულ სოციალ-დემოკრატებს, ოღონდაც მათ ქართული დამოუკიდებლობა შეინარჩუნონ: ,,ვუცხადებთ სრულ ნდობას რესპუბლიკის მთავრობას, რომელსაც დავეხმარებით ჩვენი ძალით იმ მძიმე და პასუხსაგებ საქმეში, რომელიც თავს იდვა დღევანდელ ყოვლად მწვავე და რთულ პირობებში.“ (№259.18 ივნისი. გვ 2)

დღეს, როდესაც თანამედროვე მედიაპროდუქცია მეყსეულად იქმნება და თითოეული ინდივიდი შესაძლებელია იყოს არა მარტო მომხმარებელი, არამედ პროდუქტის ავტორიც, უფრო მეტად აქტუალურია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების

კონტროლირება. ეთიკის ნორმებსა და განსაზღვრულ ჩარჩოებზე სამსონ ფირცხალავა საუკუნის წინ ავითარებს საკუთარ მოსაზრებას:

,,თავისუფლება არ ნიშნავს ყველაფრის მოქმედებას და თქმას. არის საზღვარი სახელმწიფოებრიობისა, რომლის გადალახვაც არ ძალუძს არავითარ დემოკრატიულ წყობილებას და რომლის იქით არსებობს მხოლოდ ანარქია და დარღვევა. ჩვენში მრავალმა ისე გაიგო ბეჭდვის თავისუფლება, რომ მოურიდებლად წერენ ყველაფერს, ყველანაირ სიცრუესა და ცილისწამებას.“(380,10 ნოემბერი, 2)

საქართველოს დამოუკიდებლობის სრული გააზრებისათვის ავტორი არ იშურებს მაგალითებს წარსულიდან, ცდილობს, აჩვენოს საზოგადოებას, თუ რამხელა ბედნიერება გვხვდა წილად და დაანახოს სირთულე მთელი რიგი საპასუხისმგებლო საკითხებისა.

დღეს სწორედ იმაზე აპელირებენ, რომ ქართველებს უცხოელებისაგან ბევრი რამ გადმოაქვთ, ითვისებენ მათ ჩვევებს, შეხედულებებს, ჩაცმულობას. ,,სახალხო საქმის“ რედაქტორის მზერა ამ მხრივაც უსწრებს ეპოქას: ,,ერი ვითარდება საკუთარი გზით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერმა არავინ მიიკაროს და შეითვისოს, არ ისესხოს უცხო კულტურიდან რამე. ერი მოითხოვს გადმოიღოს უცხოელთა ღირსება, წესი, ცოდნა-გამოცდილება, ეს ყოველივე უნდა გადაადნოს ერმა თავის გულში და ისე მიაწოდოს თავის შვილებს.“ (ფირცხალავა, სახალხო საქმე, 1918) ესეც ევროპეიზმის იდეის სწორი ინტერპრეტაცია და ევროპული ღირებულებებიდან საუკეთესოს შესწავლის ერთ-ერთი სწორი და პრაგმატული მიდგომაა.

249-ე ნომერში სტატიის ,,ეროვნება და ეროვნული თავისუფლება“ გაგრძელებაში ავტორი საუბრობს ქართველთა წარმომავლობაზე და ხაზგასმით მოუწოდებს მკითხველს, ყველა მოვალეობაზე წინ ერის თავისუფლება დააყენოს: ,,ეს ჩვენი მოვალეობაა გარდასულ თაობათ წინაშე“, და აქვე სვამს შეკითხვას: ,,ეს უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ, გაბედულად და ამის შესახებ კამათი შეუძლია მხოლოდ მონობაში დაბადებულ ცოცხალ მკვდრებს, მაგრამ რა სახით უნდა განხორციელდეს და რა ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს ქართველი ერის თავისუფლება?“ (ფირცხალავა, ეროვნება და ეროვნული თავისუფლება, 1918)

№250 სტატიაში ქვეყნდება ავტორის პასუხი ამ შეკითხვაზე - გზა სამნაირი არსებობს: სრული დამოუკიდებლობა; ავტონომია უნიტარულ ან ფედერაციული რუსეთის სახელმწიფოში და ავტონომია დამოუკიდებელ ფედერაციულ ამიერკავკასიაში.

ჩვენი ანალიზის შედეგად, ვფიქრობთ, კარგად იკვეთება, რომ სოციალ-ფედერალისტებს და მათ ლიდერს ერის თავისუფლების უზრუნველსაყოფად იდეალურ ფორმად სრული სეპარაცია, დამოუკიდებლობა, რუსეთისა და კავკასიისგან გამოყოფა და საკუთარი სახელმწიფოებრივი ერთეულის დაარსება მიაჩნიათ. ეს ოდნავადაც არ ეწინააღმდეგება ფედერალიზმის იდეას, რომელიც კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, ქვაკუთხედია მათი მსოფლმხედველობისა.

საჭიროდ მიგვაჩნია ვისაუბროთ სამსონ ფირცხალავას დამოკიდებულებაზე გერმანიის პროტექტორობის მიმართ. ფედერალისტების ლიდერს ეს ევროპული სახელმწიფო ნაკლებად სტაბილურად მიაჩნია და ბოლომდე არ ენდობა და არც ეყრდნობა. აქვე სამსონ ფირცხალავა გამოთქვამს ეჭვს, რომ თუკი გერმანიის ინტერესი სხვა სახელმწიფოსკენ გადაინაცვლებს, საქართველო დაუცველი და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობისათვის სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდება. ამიტომ, ,,ნაკლებ დავეყრდნოთ გარეშე ძალას და რაც შეიძლება მეტი ვიზრუნოთ საკუთარი მოქმედებისათვის.“ (ფირცხალავა, სახალხო საქმე, 1918)

დემოკრატიული ღირებულებების რეფლექსირებისას ვცდილობთ, წინ წამოვწიოთ ყველა ის საკვანძო საკითხი, რომელთა მიხედვითაც საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდება დასკვნებისა და შეფასებების გამოტანა. ამიტომაა, რომ სამხედრო თემა, ერთ-ერთ ძირითად მასალას წარმოადგენს არა მარტო ,,სახალხო საქმის“ რედაქციისათვის, არამედ სახელისუფლებო და სხვა პარტიული საგამომცემლო ორგანოებისთვისაც.

ქართული არმიის შექმნისა და გაძლიერების აუცილებლობაზე სამსონ ფირცხალავას რამდენიმე საკვანძო სტატია აქვს დაწერილი: ,,ჯარის საჭიროება“ (№314), ,,იარაღი“ (№420), აღნიშნული საკითხი მას გამოტანილი აქვს ვრცელ სტატიაშიც ,,ეროვნება და ეროვნული თავისუფლება“ (№250).

,,ჯარი თუ გვეყოლება ყველაფერი გვექნება და შეგვრჩება, ხოლო უჯაროდ ერთ მტკაველ მიწასაც ვერ შევინარჩუნებთ.“ (ფირცხალავა, ჯარის საჭიროება, 1918).

სხვა მხრივ, ზემოთ აღნიშნულ საკითხებზეც ეს გულანთებული მამულიშვილი საკუთარი განათლებიდან, გამოცდილებიდან და მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე წერს.

,,მისი პუბლიკაციები გამოირჩევა აზრის სიღრმითა და სიცხადით, სადა და ფართო მკითხველისათვის გასაგები სტილით.“ (ჯანელიძე, ბეჭდური სიტყვა თბილისში)

დასკვნა

სამსონ ფირცხალავას მთელი საქართველოს საზოგადოება და პოლიტიკური სპექტრი უდიდეს პატივს სცემდა, გარდა ქართული ბოლშევიკური პარტიის წარმომადგენლებისა. ჩვენ არ მოვიყვანთ აქ ფილიპე მახარაძის შეფასებებს, ეს არ არის ჩვენი კვლევის მიზანი, მაგრამ მისი სიტყვები, რომ სამსონ ფირცხალავას ,,გარეშე ეროვნებისა არც არაფერი სწამს და არც არაფერი მიაჩნია", შეურაცხყოფის ნაცვლად ხაზს უსვამს ,,სახალხო საქმის" რედაქტორის ეროვნულ სულისკვეთებას.

ჩვენ მიერ გამოკვლეული სამსონ ფირცხალავას პუბლიცისტური ნიმუშები კი დასტურია სანდრო შანშიაშვილის შეფასებისა: ,,სამსონ ფირცხალავა სამშობლოს დიდი მოამაგე და ჭეშმარიტი მამულიშვილი იყო და მისი პუბლიცისტური წერილები დიდ გავლენას ახდენს მკითხველ საზოგადოებაზე." (ს. შანშიაშვილი, თქვენც რომ გახსოვდეთ, ახალგაზრდებო, მოგონებები, თბილისი, 1977, 41, 38)

სამსონ ფირცხალავას მიერ დატოვებული კულტურული მემკვიდრეობიდან ძალიან მნიშვნელოვანია მისი პუბლიცისტიკა და კრიტიკა, რომელიც, როგორც დავრწმუნდით, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა საკვანძო საკითხს მოიცავს და მის გარეშე არასრულყოფილი იქნება დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდის წარმოდგენა.

ბიბლიოგრაფია

1. ბენდიანიშვილი ალ, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921, გამომცემლობა ,,მეცნიერება", თბილისი, 1980
2. ირემაძე, ი. პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემა 1917-21 წლების საქართველოში, ჰაინრიხ ბიოლის გამომცემლობა, თბილისი, 2021
3. მაცაბერიძე მ, საქართველოს პოლიტიკური სისტემა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2019
4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა - ენციკლოპედია-ლექსიკონი (1918-1921), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2018
5. საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პროგრამა, პარტიული სტამბა, თბილისი, 1918
6. ფირცხალავა ს, ეროვნება და ეროვნული თავისუფლება, მთავრობის სტამბა, თბილისი, 1918
7. შარაძე გ, უცხოეთის ცის ქვეშ, გამომცემლობა ,,მერანი", თბილისი, 1993
8. ცხადაია ზ, ,,ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე 1921-1941), გამომცემლობა ,,მწიგნობარი", თბილისი, 2016
9. წერეთელი მ, დროის პარალელები, გამომცემლობა ,,უნივერსალი", თბილისი, 2017
10. ,,სახალხო საქმე" 1918-1919 წლის ყველა ნომერი